საქართველოს კანონი

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 61) 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. სახანძრო უსაფრთხოების წესების სავალდებულო სწავლებას ბავშვებისათვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელებისა და სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის ახორციელებენ შესაბამისი უწყებები სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან შეთანხმებული პროგრამებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

8 ივნისი 2016 წ.

N5373-IIს